სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 07 ივნისი 2022 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:
დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი.
როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;
ირინე სადრაძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარ-ების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:
ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვ-ნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;
ივანე კვიტაიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი;

დღის წესრიგი:
1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება (60410000 - სარეისო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებები).

განიხილეს:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის ეკონომ კლასის ორი ცალმხრივი ავიაბილეთის (60410000 - სარეისო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში და ასევე სხვადასხვა საიტების მეშვეობით მოძიებულ იქნა კომპანიები ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. ათ შესაძლო პოტენციურ მომწოდებელს გაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და შესასყიდი ავიაბილეთების ამსახველი დოკუმენტაცია. საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა სამმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ფასები:

1) პოტენციური მიმწოდებელი N 1 – 5195 (ხუთი ათას ასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი დღგ-ს გარეშე.

2) პოტენციური მიმწოდებელი N 2 – 4240.9 (ოთხიათას ორას ორმოცი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარი დღგ-ს გარეშე.

3) პოტენციური მიმწოდებელი N 3 – 3855 (სამითას რვაას ორმოცდათხუთმეტი) ლარი დღგ-ს გარეშე.

სხდომაზე აღინიშნა ის გარემოება, რომ ავიაბილეთების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2022 წლის 30 მაისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადების N NAT220010352), რის გამოც მიზანშეწონილია მიმდინარე ტენდერის სავარაუდო ღრებულებად განისაზღვროს მე-2 პრეტენდენტის შემოთავაზება - 4240 (ოთხიათას ორას ორმოცი ლარი) ლარი;

შესაბამისად სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა პოტენციური მიმწოდებელი N 3-ის მიერ მოწოდებული ფასით და განისაზღვრა ტენდერის საორიენტაციო ღირებულება 4240 (ოთხიათას ორას ორმოცი ლარი) ლარი, დღგ-ს გარეშე.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიას თავმჯდომარეობდა: დავით ხვედელიძე -

კომისიის წევრები: ნიკო გიგოლაშვილი-

როსტომ თოლორდავა -

კომისიის აპარატის წევრი: ირინე სადრაძე -